ავტობიოგრაფია

მე, ფიქრია სიქტურაშვილი, დავიბადე 1975 წლის 18 სექტემბერს ქ. ცხინვალში.

1992 წელს დავამთავრე ქ. ხაშურის მე-3 საშუალო სკოლა. 1993 წელს ჩავაბარე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. 1998 წელს აღნიშნული ფაკულტეტი დავამთავრე წარჩინებით.

1998-1999 წლებში წარმატებით გავიარე მოსამართლის თანაშემწის კურსები. 2004 წლის მარტში ჩავაბარე პროკურატურის თანამშრომელთა საკვალიფიკაციო გამოცდა. 2005 წელს შსს აკადემიაში გავიარე უბნის ინსპექტორთა მოსამზადებელი კურსები. 2007 წელს ჩავაბარე ადვოკატურის გამოცდა. 2008 წლის სექტემბერში ჩავაბარე მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდა სისხლის სამართლის სპეციალიზაციით.

2001 წლის 25 იანვრიდან 2002 წლის 10 ივნისამდე ვმუშაობდი სკოლა-ლიცეუმ „მწიგნობარში" სამართალმცოდნეობის მასწავლებლად.

2002 წლის 9 ოქტომბრიდან 2003 წლის 16 დეკემბრამდე თბილისის ბიზნესისა და საგარეო ურთიერთობების ინსტიტუტში ვკითხულობდი ლექციებს საკონსტიტუციო სამართალში.

2005 წლის 15 აგვისტოდან 2006 წლის 14 დეკემბრამდე ვმუშაობდი შინაგან საქმეთა სამინისტროში უბნის ინსპექტორად.

2006 წლის 5 დეკემბრიდან 2008 წლის 14 თებერვლამდე ვმუშაობდი მცხეთის რაიონულ სასამართლოში წამყვან სპეციალისტად. 2008 წლის 14 თებერვლიდან 2008 წლის 15 ოქტომბრამდე ვმუშაობდი მცხეთის რაიონულ სასამართლოს კანცელარიისა და მოქალაქეთა მისაღები განყოფილების უფროსად.

2008 წლის 15 ოქტომბრიდან 2018 წლის 30 აგვისტომდე ვმუშაობდი საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მთავარ სპეციალისტად.

2018 წლის 30 აგვისტოდან 2022 წლის 20 მაისის ჩათვლით ვმუშაობდი საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურში კონსულტანტად. 2022 წლის 23 მაისიდან 2023 წლის 26 ოქტომბრამდე ვიკავებდი თბილისის სააპელაციო სასამართლოს კანცელარიისა და სტატისტიკის სამსახურის უფროსის თანამდებობას.

ჩემი სასამართლო სისტემაში მუშაობის პერიოდში ვმონაწილეობდი საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ არაერთ პროფესიულ ტრენინგსა და სემინარში.

2023 წლის 24 სექტემბერს ჩავაბარე მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდა სისხლის სამართლის სპეციალიზაციით.

2023 წლის 26 ოქტომბრიდან 2025 წლის 26 თებერვლამდე ვიყავი საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი.

ვარ დაოჯახებული.

ფიქრია სიქტურაშვილი